ინტერკულტურული კვლევები

1. **მახლობელი აღმოსავლეთისა და მედიტერანული სამყაროს კულტურების მოდელები; ძველი სახელმწიფოების და ცივილიზაციების განვითარება**

The Cultural Models of Ancient Near East and Mediterranean World; Evolution of the Ancient States

სასწავლო კურსი მაგისტრანტებს აცნობს ძველი ცივილიზაციების ძირითად მოდელებს, მათი გენეზისის საკითხს. ამ საზოგადოების ინვარიანტული მოდელების შექმნის თეორიული ასპექტებს: კულტურის განვითარების ისტორიულ-სოციალური-ეკონომიკური ევოლუციის პროცესები (არტეფაქტებზე და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით); კულტურული მოდელის ჩამოყალიბების გეოგრაფიული სპეციფიკა (ისტორიულ-გეოგრაფიული არეალი); ინტერკულტურული მიმართებანი: კულტურების გავლენები, შეხვედრები და ურთიერთმიმართების საკითხები. ძველი კულტურების რაობის განმსაზღვრელი პარამეტრები: სახელმწიფოს პოლიტიკურ-ტერიტორიული მოწყობისა და მართვის თავისებურებანი; პოლიტიკური საზღვრები, სოციალური ინსტიტუტები, სახელმწიფოს იდეოლოგია და რელიგია.

2. **შუა საუკუნეების ქართული კულტურის უნიშვნელოვანესი პრობლემები და მათი კვლევის თანამედროვე მიდგომები**

The Important Issues of the Medieval Georgian Culture, and its Modern Research Approaches

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან პრობლემატიკას და მათი შესწავლის დღევანდელ მდგომარეობას. ამ პრობლემათა შორისაა ქართული ანბანის წარმოშობა, მისი ორიგინალობა, შექმნის დრო და ა.შ. ასევე, საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ქრონოლოგიური პრობლემები, სიძნელეები ქრონოლოგიის საკითხების გადაჭრაში. საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია.

3. **ევროპული ურბანიზმის პრობლემები, ძველი ქალაქების მრავალსახეობა**

Issues of European Urbanism, the Ancient Cities, Multiformity of the Ancient Cities

სასწავლო კურსი მაგისტრანტებს აცნობს ძველი საზოგადოების ურბანიზმისა და ურბანიზაციის თანამდროვე თეორიულ კვლევებს, პრობლემებსა და მიდგომებს;

მოახდინოს ძველი ევროპის მთავარი ქალაქების, ქალაქი-სახელმწიფოების და დედა-ქალაქების ფიზიკური რეკონსტრუქცია; გააცნოს ამ ქალაქების სოციალურ/კულტურული მახასიათებლები და თავისებურებები (ისტორიოგრაფიული, არქეოლოგიური მასალისა და წყაროების გამოყენებით). გააცნოს სტუდენტს ემბლემატური ქალაქები.

4. **მცირე აზიის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი, ინტერკულტურული შეხვედრები**

The Historical-cultural Context of the Asia Minor, Intercultural Conjunction

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მცირე აზიის ისტორიასთან დაკავშირებულ წყაროებს, გააანალიზებენ ამა თუ იმ სახელმწიფოს მმართველის მოღვაწეობის არეალს, მათ საშინაო თუ საერთაშორისო ურთიერთობებს. კონკრეტული პერიოდით თუ ტექსტით დაინტერესებისას, სურვილისამებრ, შესაძლებელია თემის ინდივიდუალურად გაღრმავება და დამუშავება.

5. **ქართული სახელმწიფო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ინტერკულტურულ პერსპექტივაში**

The Georgian State in the between of the East and West in Intercultural perspective

კურსის ფარგლებში მაგისტრანტს მიეწოდება ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის განმაზოგადებელი და ახლებურად გააზრებული ხედვა. კურსის შესავალ ნაწილში გაანალიზებული იქნება სახელმწიფოს რაობა, წარმოქმნის მიზეზები, წარმოშობის თეორიები და თავისებურებები. გამახვილდება ყურადღება პირველ ქართულ კლასიკურ სახელმწიფოებზე: იბერიაზე (ქართლი), კოლხეთზე (ეგრისი); ქრისტიანობის გავლენაზე ქართული სახელმწიფოებრიობის ახლებურად ფორმირებაზე; შუა საუკუნეების ქართულ სახელმწიფოებზე; რუსული იმპერიის როლზე ქართული სახელმწიფოებრიობის კოლაფსში; ასევე, ქართული სახელმწიფოს ადგილზე აღმოსავლეთ და დასავლეთ ცივილიზაციათა შორის.

6. **ინდოევროპეისტიკისა და მედიტერანისტიკის ძირითადი ასპექტები და კვლევის მეთოდები**

The Main Aspects and Research Methods in Indo- European and Mediterranean Studies

სასწავლო კურსის მაგისტრანტს გააცნობს ინდოევროპეისტიკისა და მედიტერანისტიკის დარგს (თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, კარდინალურ თემები და პრობლემებს); სტუდენტები გაეცნობიან ინდოევროპული ხალხების წარმომავლობის, პირველსაცხოვრისის, განსახლებისა და მიგრაციების საკითხებს, უძველესი პერიოდიდან დაწყებული, ახალი წელთაღრიცხვის ჩათვლით ევროპასა და მედიტერანულ აუზში. ამ ხალხების კულტურული თანაარსებობის ისტორია (შედარებითი კვლევები), ინტერკულტურული გავლენები მეზობელ ხალხების ყოფა-ცხოვრებაზე.

7. ძველანატოლიური (მცირე აზიის) ისტორიული წყაროები და ისტორიული წყაროების თარგმანი

The Ancient Anatolian (Asia Minor) Historical Sources and Historical Sources in Translation

კურსის მფარგლებში მაგისტრანტები ენობრივად, სტილისტურად და შინაარსობრივად დაამუშავებენ ხეთური ლურსმული დამწერლობით შესრულებულ ძველი, შუა და ახალი სამეფოს პერიოდის (ძვ. წ. XVII-XII სს.) "სამეფო ანალებს" და ჩამოიყალიბონ საკუთარ თვალსაზრისს ისტორიული წყაროს ამ თავისებურ ფორმაზე.

8. საქართველო, ევროპა და მონგოლები (XIII-XIV სს-ში): განსხვავებული კულტურების კონფლიქტი და თანაარსებობის ფორმები

Georgia, Europe and Mongols (XIII-XIV cc.): Conflicts and Co-existence of the Different Cultures

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტი ახლებურად გაიაზრებს საქართველოს მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ისტორიას XIII-XIV სს-ში. ასევე, „მონღოლობის" არსს. ახლებურად იქნება გააზრებული ქართული ნარატიული წყაროების (თამარის ისტორიკოსები, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ე. წ. ჟამთააღმწერლის ასწლოვანი მატიანე „ახალი ქართლის ცხოვრების" მატიანეები) იდეოლოგია და მათ მიერ მოწოდებული ფაქტობრივი მასალა. ცალკე იქნება გაანალიზებული ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების შესაბამისი ადგილები და ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიის" ღირებულება XIII-XIV სს. ისტორიის რეკონსტრუქციისათვის.

9. ბიბლიის (ძველი აღთქმა) ისტორიულ-კულტურული კონტექსტი, ძველი პალესტინა და მეზობელი კულტურები

The Historical-cultural Context of the Bible (The books of Old Testament), The Ancient Palestine and Neighboring Cultures

სალექციო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია ძველი აღთქმის ნარატივზე მუშაობა, ამ მასალების შეპირისპირება ისტორიულ წყაროებთან და არტეფაქტებთან და, აგრეთვე, თანამედროვე ისტორიოგრაფიულ ლიტერატურასთან. კურსის მეთოდოლოგია ემყარება ინტერდისციპლინარულ კვლევას, რაც გულისხმობს ისტორიული კონტექსტის შესწავლის პროცესში საზოგადოების ყველა პარამეტრის მოდელირებას (იგულისხმება სოციალური ურთიერთობები, პოლიტიკური ისტორია, გეოგრაფიული გარემო, გენდერის საკითხები, რელიგიური ორიენტირები, არტეფაქტები და სხვ. განხილვა-ანალიზი).